ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 153 მკათათვე 21, პარასკევი — 1889 — მკათათვე 21, პარასკევი № 153

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

სოფიო იოსების ასული იოსელიანისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა განსვენებასა ქმრისას, იასონ სოფრომის ძის იოსელიანისას, რომელიც გარდაიცვალა ქ. იალუტოროვსკში, 12 ამ თთვისას, და სთხოვს მობრძანდნენ ამაღლების ეკლესიაში, სოლოლაკზედ, პარასკევს, 21 მკათათვისას, დილის 9 საათზედ, სადაც გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. (2—2)

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „პატარა მოთხრობა“. თხზულება თ. კ—ძისა, გამოცემა კ. თავართქილაძისა. წიგნი შეიცავს 58 გვერ. და ღირს სამი შაური. წიგნი სუფთად და ლამაზად არის დაბეჭდილი.

*** სექტემბრიდამ ტფილისში დაარსდება ახალი სასწავლებელი, სახელად „Землемѣрное училище“. ვისაც ამ სკოლაში შესვლა სურს, თხოვნა 10 სექტემბრამდე უნდა შეიტანოს. მიიღება ყველა ყმაწვილი 15 წლიდამ—25 წლამდე, თუ საჭირო ეგზამენი დაიჭირა. ეგზამენები დაიწყება 15 სექტემბრიდან. ვისაც კლასიკურის გიმნაზიის ხუთი კლასი გაუთავებია, ან რეალურ სასწავლებლის ოთხი კლასი, იმან მხოლოდ სამს საგანში უნდა დაიჭიროს ეგზამენი: რუსულში, მატემატიკაში და კალიგრაფიაში. სასწავლებელში 60 შეგირდი მიღებულ იქმნება სახელმწიფო ხარჯით, დანარჩენები თავის ხარჯზედ იქმნებიან. ვინც კარგად გაათავებს კურსს, მიენიჭება წოდება კერძო მიწის მზომავისა და სამსახურში ექმნება მე-XIV კლასის ჩინი. ვინც რიგიანად ისწავლის, ის მხოლოდ კერძო მიწის მზომავის წოდებას მიიღებს. კარგად კურს-გათავებულს მთავრობა სასწავლებლისა გაჰგზავნის თავის ხარჯით მოსკოვში იქაურ „Межевой институтъ“-ში. ახალს სასწავლებელში სულ სამი კლასი იქნება და სწავლაც სამს წელს გასტანს. ზაფხულში შეგირდებს პრაქტიკული მუშაობა ექმნებათ.

თხოვნას იღებს „Межевое присутствіе тифлисской судебной палаты“ 10 სექტემბრამდე.

*** ოთხშაბათს, ამ თთვის 19-ს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის საფოსტო და სახალხო მატარებლით დაბრუნდა ქართლიდგან ტფილისს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი. რკინის გზის სადგურზე მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას მიეგებნენ რამდენიმე დეკანოზი, პოლიციის უფროსი და სხვები.

*** ამ ორის წლის წინად დიდი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ რკინის გზის ვაგონში, ქუთაისის მახლობლად, ვიღაცეებმა გასცარცვესო ქ-ნი ლამბერგერი, რომელსაც ათიოდე ათასი მანათი წაართვეს. თავის დროზე ამ ამბავმა ძალიან გააკვირვა მთავრობაცა და საზოგადოებაც: დღისით კაცის გაცარცვა, ისიც ვაგონში და სახალხოდ, მართლა რომ ძნელად წარმოსადგენი იყო. მთავრობა გულმოდგინედ შეუდგა დამნაშავეთა ძებნას, მაგრამ ვერა აღმოაჩინა-რა. თითქმის იმედი არ იყო ავაზაკთა პოვნისა. ხოლო, როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში ერთი დამნაშავე უკვე ჩავარდნია მთავრობას ხელში. ეს დამნაშავე, სახელდობრ ანტონ თოიძე, თითონ გამოცხადებულა მთავრობის წინაშე და თავისი დანაშაული ულიარებია.

*** იმერეთ-გურია-სამეგრელოში ამ თთვის 14-მდე მთელის ერთის თთვის განმავლობაში წვიმები ყოფილა და ამის გამო ვაკე ადგილებში ცოტად თუ ბევრად დაზიანებულა სიმინდი. საზოგადოდ სიმინდის მოსავალს გვარიანს ელიან. უფრო უკეთესს მოსავალს ამბობენ ყურძნისას. ვაზს ისე ასხია თურმე, რომ ჭურჭლის შოვნა გაჭირდებაო.

*** ქუთაისში თვით-მმართველობა ძალიან საქმეშია. აქამომდე ქუჩების კუთხეების თუნუქებზე ქუჩების სახელი რუსულადა და ქართულად იყო დაწერილი, რომ რუსულის უცოდინარმაც იპოვოს ქუჩა და გზა. ტფილისშიაც ასეა. ეხლა დიდს მეცადინეობას იჩენს ქუთაისის ქალაქის გამგეობა ქართული წარწერა ყველგან წაშალოს. ამ გვარი მეცადინეობა ნახევარს ქალაქში უკვე აუსრულებია.

** თელავი: თელავში სომხებს ორი სამრევლო სკოლა აქვთ—ერთი ვაჟებისა და მეორე ქალებისა. რადგან თელავში სამი სამრევლო ეკლესია აქვთ სომხებს, ამიტომ ამ სამის მრევლის თანხმობით იმ ორს სკოლას სამისავე ეკლესიის შემოსავლით ინახავენ დღემდე. სკოლა ისეთი რამ არ არის, რომ კაცმა დააარსოს და შემდეგ უპატრონოდ დასტოვოს. ამიტომ მთავრობის განკარგულებით ყველა სამრევლო სკოლებს და თელავისასაც მზრუნველები ჰყავს დანიშნული. ეს მზრუნველები განაგებენ ყოველ გვარ სასკოლო საქმეს და განსაკუთრებით ნივთიერს საქმეებს სკოლისას. მასწავლებლების დაქირავებისა, სკოლის შენობისა და სხვა სასკოლო ხარჯისათვის ამათ უნდა იზრუნონ. წლიური შემოსავალი თუ გასწვდა ხარჯს, ხომ კარგი, და თუ არა, ამათვე უნდა იზრუნონ ნაკლის შევსება და სხვა... სკოლის მზრუნველებს სამის წლით ირჩევენ და ვადის შესრულებისათანავე ახალი არჩევნები არის ხოლმე. ამ არჩევნებში სომხის სასულიერო მთავრობის ახალის განკარგულებით იმ მრევლთ უნდა მიიღონ მონაწილეობა, რომელნიც სკოლას შემწეობას აძლევენ. ამ თთვის 5-ს თელავის სომეხთა სკოლების მზრუნველების ამორჩევა იყო დანიშნული. სამისავე ეკლესიის მრევლი მიიწვიეს. ხალხი დანიშნულს ადგილას მოგროვდა, მაგრამ თავმჯდომარე ერთბაშად გამოაცხადა: კათოლიკოზის განკარგულებით, თქვენ, გორიჯვრის მრევლო, ხმა არა გაქვთ და არც შეგიძლიანთ მიიღოთ მონაწილეობა მზრუნველების არჩევანშიო. აბა! აირია მონასტერი!.. შეითანბაზრის მუშტის კრივი, ყვირილ-ღრიალი და არევ-დარევა განა შეიძლება ამათ არევას შეადარო? ველარა გავიგეთ-რა ამასობაში. ის-კი გავიგეთ, რომ ხალხი გაიძახოდა: თუ მაგრეა და აბა ჩვენს ეკლესიაში, ან ჩვენთან-ღა გაგივლიათ სკოლის ფულისათვისაო... ფულებს-კი გამოგვართმევთ და იმას-კი აღარ გვკითხავთ, თუ როგორ ჰხმარობთ ჩვენს ფულებსაო? აირია ხალხი და ბრახა-ბრუხით გამოვიდა ყრილობის დარბაზიდგან... დარბაზში ძველი მზრუნველები დარჩნენ და, როგორც შემდეგ შევიტყეთ, ისევ ერთმანეთი ამოირჩიეს მზრუნველებად... ახლად ამორჩეულ-

## ფელეტონი

### ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის.

ვუძღვნი პატივცემულს პროფესორს ი. ღ. ოქრომჭედლიშვილს.

### VII*)

საფუძველი ბატონ-ყმობას სამმა ელემენტმა დაუდო—„ნასყიდმა“ (ვალგადუხდელმა), „ბოძებულმა“ და თავის ნებით ყმად შესულმა. „ნასყიდმა“, რომელზედაც უფრო საგრძნობლად გავრცელდა გადმოტანილი ბერძენთა შეხედულობა ყმაზედ, შეავიწროა ბოძებული გლეხი, თავის ნებით შესულმა ბატონის მფარველობის ქვეშ გადასცა „ნასყიდ-ბოძებულს“ ჩვეულება გადასვლისა და განთავისუფლებისა. აღბუღას კანონით აზატი ხდებოდა კაცი, როცა იგი გადიხდიდა ვალს [1]). ვახტანგმა მიიღო კანონად ეს გავრცელებული ჩვეულება, მხოლოდ პირობის აღსრულება, „ვალის გადახდა“ შეიქმნა შეუძლებელი ვალის ამღებისათვის: მომეტებული ნაწილი გლეხთა ველარ ჰპოულობდა საშუალებას ვალი გადაეწყვიტა და ძალაუნებურად რჩებოდა ყმად. ასეთი პროცესი მოხდა რუსეთშიაც, სადაც კანონმდებლობით-კი არ დამაგრდა (прикрѣпился) ყმა ბატონთან და იმის მამულთან, არამედ ეკონომიურის გარემოების შედეგი იყო ვალის ამღების ყმად გადაქცევა [2]).

რადგანაც სურვილი განთავისუფლებისა ძლიერი იყო ყმათა შორის, ამიტომ, როგორც რუსეთში, დაიბადა საქართველოშიაც ორ-ნაირი ფორმა თავის დახსნისა: გადასვლა სხვა პატრონთან, რომელიც გაუსწორდა პირველ ბატონს გლეხის ვალში [3]), და გაპარვა ყმისა ვალის გადაუწყვეტლად. შესანიშნავია, რომ ჩვენში, როგორც რუსეთშიაც, განთავისუფლებული იხდიდა „неустойка“-ს, როცა თავისუფლდებოდა: ჯანია ყორღანაშვილს აძლევს პირობას, რომ იგი დასტოვებს ერთს შვილს ბატონთან „ნასყიდ ყმად“, თუ ვინმე გამოისყიდის მას ჯანიას, იგი დაუბრუნებს ყორღანაშვილს იმისგან აღებულს ვალს [4]). ეს ჩვეულება, ვალის გადაწყვეტა სხვა შემძლებელის ბატონის მიერ ძრიელ ხშირია და კანონით ვახტანგის მიერ განმტკიცებულ იქმნა [5]). ვახტანგმა შეიწყნარა უკანონო ჩვეულება—გაპარვა ყმისა და დაადგინა, რომ გაპარული ყმა 30 წლის განმავლობაში მოიძებნოს და, თუ ამ ვადის განმავლობაში ბატონმა იპოვა თავის დაკარგული ყმა, იგი ვალდებულია იმის ყმის შემნახველს გადუხადოს ყმაზედ დანახარჯი და მისცეს იმის დროებით მფარველს ნახევარი იმ სარჩოდამ, რომელიც გამოპარულმა ყმამ „ახალს ბატონს“ შესძინა. აი თვით მუხლი როგორ გვიხატავს ამ გარემოებას: „თუ ერთი მეორეს ‹ყმა› ერთმანეთს მიუვიდეს და თავი ნასყიდად დაუწეროს, ან იმ მებატონემ იმ „გლეხს კაცს [6]“ ან ვალი გადაუწყვიტოს და ან შიმშილობაში გამოჰკვებოს და დავთარში ჯერ არ დაწერილიყოს იმის სახელზე და ისე წამოედავოს პირველი მებატონე, რაც ამ ახალს ბატონს იმაზე ხარჯი ექნას, ის პასუხიც უნდა მისცეს და რაც ამ გლეხკაცს ამ ახლის ბატონის ხელში მოუვია, იმისი ნახევარი უნდა ახალს ბატონს მისცეს და თავისი ქა ძველს ბატონს უნდა მისცეს [7])“.

სიგელი 1772 წ. ამ მუხლს მშვენიერად ასურათებს. სიგელი გვიჩვენებს, რამდენად აძლევდა პასუხს კანონ-მდებლობა ცხოვრების მოთხოვნილებას და რამდენად შესაძლო იყო მისი განხორციელება. ამ სიგელში ვკითხულობთ: ...„Справляясь съ закономъ и нашли, что, по закону царя Вахтанга, если крестьянинъ уйдетъ отъ своего господина и проживетъ въ другомъ мѣстѣ 30 лѣтъ, то прежній владѣлецъ не можетъ уже имѣть на него владѣльческихъ правъ. А какъ крестьяне Мирзашвили въ Джавахетіи всего 6 лѣтъ, то мы, вслѣдствіе этого и на основаніи этого вышеприведеннаго закона, постановили: признать ихъ крестьянами сардара Давида (Орбеліани)“ [8]). კანონი, რომელიც აქ მოხსენებულია, გვაუწყებს შემდეგს: „თუ აქედამ აყრილი გლეხი სხვის საბატონოში წავიდეს, თუ იქ ექვსი წელიწადი დაჰყოს და ისევ ხელმწიფის ყმად მოვიდა, თუ უნდა მისცემს ხელმწიფე, თუ უნდა არა [9])“... ეს პირველი ნახევარია იმ დადგინების საფუძვლად, რომელიც გადასწყდა ორბელიანის სასარგებლოდ. მეორე ნახევარს მსაჯულის გადაწყვეტილებისას აქვს საფუძველი შემდეგ მუხლში: ‹თუ საბატიოს კაცის შვილის ყმა სხვის საბატონოში წავიდეს, თუ 30 წელიწადი იქ დაჰყოს და ისევ მოვიდეს და სხვა კაცს ეყმოს, ველარას შეუვა, თუ ნაკლები დაჰყოს... ძველს ბატონს უნდა მიეცეს [10])“... მირზაშვილი ოც-და-ათ წელზედ ნაკლები იყო დაკარგული, ამიტომ მას გადაუწყვიტეს ორბელიანთან, პირველ მებატონესთან დაბრუნება.

ბატონები ეძებდნენ თავიანთ დაკარგულ ყმებს. ვადად წინად დადებული იყო 30 წელიწადი. ამის კვალს ვპოულობთ აღბუღას კანონებში, რომელმაც თავის მხრივ შეამცირა ვადა შვიდ წლამდე [11]). ვახტანგმა ვადად ისევ 30 წელი დასდო [12]). რუსეთში ჯერ ხუთი წელიწადი იყო, შემდეგ 10—15 წ., 1646 წელს ალექსი მიხეილის ძემ ვადა სრულებით მოსპო და ნება მისცა მებატონეებს ეძებნათ დაკარგული ყმა უვადოდ („безсрочно, безъ урока лѣтъ, вѣчно“.). ამ კანონის ძალით მე-XVII საუკ. დასაწყისს გაპარულ ყმებს ეძებდნენ ბატონები ეკატერინე მეორის მეფობაში! ჩვენში უფლება ძებნისა გადადიოდა არამც თუ შვილებზედ, არამედ ნათესავებზედაც. მოხისელის ბატონის გლეხი გაიპარა რუისში, მაგრამ მისის ბატონის ნათესავმა, მეფე ვახტანგის ბრძანებით, მოაძებნინა და გახადა თავის ყმად [13]). თვით შაჰ აბაზის დროს ამ გაპარვასა და დაბრუნებას ვხედავთ გამეფებულს. იგი უბძანებს ფირმანით ქიურამ-ოღლის (გურამიშვილს) გლეხები (ყმანი) მოსძებნონ, სადაც არიან და დაუბრუნონ პატრონს [14]). ყმები თავისას არ იშლიდნენ და გაპარვას არ ივიწყებდნენ [15]). თუ გაპარული 30 წელს (ან 12 თრიალეთზედ) დაჰყოფდა, მაშინ იგი თავისუფლდებოდა ბატონისაგან.

ვახტანგ მეფემ ეს 30 წლის ვადა

---

*) იხ. „ივერია“ №№ 148, 150 და 152.

1) აღბუღას კან., § 72. Кр. гр., 6.

2) ბორის გოდუნოვის დადგინებას „О прикрѣпленіи крестьянъ“ პროფ. ვ. ო. კლიუჩევსკი რაცხს „ისტორიულ ლეგენდად“, რადგანაც ეს ძვირფასი დოკუმენტი აქამდის არ არის აღმოჩენილი.

3) Кр. гр., 3, 6, 7, 14, 41, 45.

4) Кр. гр., 3, 6, 7, 14, 30, 41, 45; Церк. гуд., § 8, 61.

5) ვახტ., კან., § 200.

6) ვახტანგის კანონებში, როგოც ამ მუხლიდამაცა სჩანს, ხშირად განურჩევლად იხმარება ყმა და გლეხ-კაცი. სიგელშიაც ასეა (Крестьянинъ, „крѣпостной“). აქვარადვე ირევა, როგორც ვნახავთ, მეფე-ბატონი და ბატონ-პატრონი.

7) ვახტ. კანონები, § 200.

8) Кр. гр., 25. რუსულად მოვიყვანე, რადგანაც მსურდა დამეცვა ტექსტი.

9) ვახტ. კან., § 201.

10) ვახტ. კან., § 202.

11) აღბუღას კან., § 78. შეად. მოსეს კან., § 6.

12) ვახტ. კან., § 202.

13) Кр. гр. 8, 25, Акты Кавказ. Археогр. ком. I, 47, 72.

14) Кр. гр. 87.

15) Кр. гр. 13, 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა ძველმა მზრუნველებმა თავიანთის ამორჩევის სია ხალხის წარმომადგენელთა ხელის მოწერით მოინდომეს დაკანონება, მაგრამ ხალხი განზე გაუდგა. როგორც შევიტყეთ, იმათ საქციელზე, სადაც ჯერ არს, საჩივარი უკვე გაგზავნილია...

*** „მშაკს“ სწერენ პეტერბურგიდამ რამდენ სომეხ მოსწავლეს შეუსრულებია წელს კურსი პეტერბურგის უმაღლესს სასწავლებლებში: ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში—4, შენობათა სასწავლებელში—4, სატყეო სასწავლებელში—3, უნივერსიტეტში: 6 (ბუნების მეტყველების განყოფილებაზე—3, იურიდიკულს ნაწილზე—1, სამათემატიკოზე—1, აღმოსავლეთის ენებისაზე—1), სამხედრო-საექიმო აკადემიაში—3. სულ დაუსრულებია სწავლა 20 კაცს.

*** 19 ამ თთვისას, მეექვსე განყოფილებაში, ქალაქის ექიმმა რუდკოვსკიმ პოლიციელების თანადასწრებით დაათვალიერა დუქნები და გადააყრევინა შვიდი ფუთი დამპალი ხილი და ასი საზამთრო.

*** 18 ამ თთვისას, თათრის მოედანზე, ბორჩალოს მაზრის სოფ. ტაშტის მცხოვრებლებმა ნაძო-ოღლიმ და აბდულ-ყურბან-ოღლიმ აღიარეს, რომ ის ხარი, რომელსაც ჰყიდდა ჰასან-ოღლი, ეკუთვნის გუმბათ-ალავერდი-ოღლის, ჩვენის სოფლის მცხოვრებსაო. პოლიციელებმა ჰასან-ოღლი შეიპყრეს. ხარი ჩააბარეს ნაბო-ოღლის და აბდულ-ყურბან-ოღლის, რომელთაც ბარათი ჩამოართვეს.

*** ღამით, ამ თთვის 18—19 შუა, ხარაზს გრიგოლ აგაძარს, რომელიც აბას-აბასის მოედანზე სცხოვრობს, მოჰპარეს სახლიდგან 34 მ. და 85 კ. ქურდობა ჰბრალდება მღვდლის შვილს მარქარ ტერ-ავაქოვსა და გორის მცხოვრებს ნიკო გიგიშვილს. გამოძიება სწარმოებს.

*** 16 ამ თთვისას, მეხუთე განყოფილებაში, შუა ბაზარში, შეიპყრეს გორელი მოქალაქე ივანე ტერ-მარკოზოვი, რომელიც ჰყიდდა საჩექმე ტყავებს. აღმოჩნდა, რომ ეს ტყავები მოუპარავთ გორში სალალოვის მაღაზიიდგან. ქურდებს კლიტე გაეტეხნათ. ტერ-მარკოზოვის ჩვენებით ავლაბარში ვაჭარს შაქრო პეტრუზოვსაც უპოვეს 11 ტყავი და ექვსიც—მესამე განყოფილებაში ლებანიძის ფურნეში. სულ იპოვეს ასის მანეთის ტყავი. დამნაშავე შეიპყრეს, რათა გორში გაგზავნონ.

# უცხოეთი

გერმანია. პოლიტიკის ჰახრაკები დღეს გერმანიის ხელშია. საჭე თვით ბისმარკს უჭირავს და, როგორც უნდა, ისე მიატრიალ-მოატრიალებს პოლიტიკის ხომალდს აღელვებულს ზღვაში. სულ ორი-სამი კვირაც არ არის, რომ ლაპარაკი ასტყდა ომიანობის მოახლოვებაზე. ანუსხვით ამბობდნენ კიდეც, რა ნიშნები მოასწავებდა ომს, მაგრამ დღეს, ბისმარკის ნებით, სულ სხვა გვარი ლაპარაკი ისმის. უხუცესმა პრუსიის გენერალმა ბრონსარ ფონ-შელლენდორფმა გამოაცხადა საქვეყნოდ, რომ არავითარი შიში არ უნდა გვქონდეს ომიანობისაო. მერე ამ ლაპარაკს ისეთი საქმეებიც მოსდევს, რომელიც მართლა ეჭვში შეიყვანს ადამიანს და აფიქრებინებს, რომ სწორედ ომი მოსალოდნელი არ უნდა იყოს ახლო მომავალშიო. ეს საქმეები ის არის, რომ გერმანიის იმპერატორი ამ ზაფხულს აქეთ-იქით სიარულს აპირებს. დაბრუნდება ნორვეგიიდამ და მერე საბერძნეთის ჰნახავს. თვით ბისმარკია კიდევ-და, რუსეთთან ძალიან ტკბილად ლაპარაკობს. როცა ასეთი ამბებია გერმანიაში, იმისი მომხრენი გაცხარებით ემზადებიან საომრად. ავსტრიამ გალიციაში ერთი ნაბიჯი კიდევ წინ წადგა და მზადებას თავს არ ანებებს. იტალიამ, ასე გასინჯეთ, წითელის ჯვრის საზოგადოებაც-კი შეადგინა. კრისპი გაფაციცებით სცდილობს, რომ ამოფხვრას ძირიან-ფესვიანად მოქმედება იმ იტალიელებისა, რომელთაც უნდათ დაუბრუნონ თავიანთ სამშობლოს ტრიესტი და ტრიენტი, დღევანდლამდე ავსტრიის ხელში დარჩენილი. კრისპი ასე იმიტომ იქცევა, რომ მოკავშირეა ავსტრიისა, რომელსაც ირრედენტისტების მოქმედება ძალიან აწუხებს. ზოგიერთი ენები ამტკიცებენ, რომ ბისმარკმა სხვა განზრახვით მიაჩუმა ომიანობის მოლოდინის ამბები. ბისმარკის განზრახვაა თავად უკან დადგეს და ავსტრია და იტალია აალაპარაკოს რიხითაო. ამით ბისმარკი მშვიდობის მოყვარეს სახელს დაიგდებს და კვლავ შუაკაცობას იტვირთებს ამრეზილ სახელმწიფოთა შორისაო. ამ შუაკაცობით, რასაკვირველია, ეცდება გერმანია არ დაივიწყოს და, ვისაც რას ჩამოართმევს, თავის ქვეყანას შეჰმატოსო. შუაკაცობის დროს, რასაკვირველია, არც თავის მომხრე მოკავშირე ავსტრია-იტალიას დაივიწყებს და ეცდება, იმათაც თითო მსუქანი ლუკმა მიაწოდოსო.

საფრანგეთი. საფრანგეთის საუკეთესო ორატორები სულ ერთსა და იმავესა ლაპარაკობენ და ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებენ საფრანგეთის ერს დღევანდელის დღის ვითარებისა და გარემოების გამო, მაგრამ არ იქნა, ქვეყანა თითქო დაყრუვდაო, ვერ შეიგნო თავის უკეთეს შვილთა ლაპარაკი და გულ-წრფელი ღაღადება. აი ამ დღეებში კიდევ გამოსულა ფლოკე და ისევ ზემოხსენებულს საგანზედ ულაპარაკნია, ვინ იცის, ეს მერამდენედ. ორატორს უთქვამს, სხვათა შორის:

„ვიცი, ვიცი, რომ გვეუბნებიან, საფრანგეთი მოიღალა, მოწყენილია და ახალ-ახალი ამბები და საქმეები სწყურიაო. ამიტომ გვირჩევენ ზოგიერთნი, რომ დავანებოთ თავი დემოკრატობის პოლიტიკას, ჩვენს პრინციპებს, გადვაკეთოთ უმთავრესი ჩვენი კანონები, რომელიც ამ 10 წლის განმავლობაში ძლივს შევიმუშავეთ, დავაკმაყოფილოთ ესრედ წოდებულ კონსერვატორების სურვილი და ინტერესები, გადავაქციოთ რესპუბლიკა საცხოვრებლად უფრო მოსახერხებელ სახელმწიფოდ, მაგრამ ვეჭვობ, რომ მაშინ ჩვენი სადგომები ბევრი არაფერი სასიამოვნო იქნება. ვიცით, რასაცა ჰნიშნავს ასეთი ლაპარაკი, და ახლა მაგ გვარის მოქარგულის ენით ვერავის მოატყუებენ. მაგ ენით ლაპარაკობენ უკან დაწევის მსურველნი, მაგ ენით საუბრობს რეაქცია, რომელმაც პირველად თავი იჩინა რესტავრაციის დროს და 1830 წლის რევოლიუციას-კი მიგვაყენა. მაგ ნაირადვე ლაპარაკობდნენ, ივნისის წესწყობილება რომ დამყარდა, და მაშინაც ხომ 1848 წლის რევოლიუციამ დაგვიკრა მძიმედ თავი. აგრე იყო მასუკანაც, როცა ყველა რეაქციონერები თავს იფარავდნენ სიტყვებით: პატიოსან და ზომიერი რესპუბლიკა გვინდაო და ის-კი არა თუ, ორი დეკემბერი გამოსთხარეს, როცა ნაპოლეონი მესამე გაგვიბატონდა. დასასრულ მაგ ენითვე ლაპარაკობდნენ 1871—1876 წელსაც, როცა დაუწყეს წინააღმდეგობა 1870 წლის რევოლიუციას, უკვე დაარსებულს მესამე რესპუბლიკას, და უნდოდათ სამღვდელოების ბატონობა შემოეღოთ. მერე რა მოხდა, ყოველ ამისა გამო? მოხდა ისა, რომ მუდამ რევოლიუციის შიშში ვიყავით, ხუთი წელიწადი განუწყვეტლივ ამ შიშსა და კანკალში გავატარეთ. მაშ ახლა მაინც ირწმუნეთ, რომ ისტორია გვეუბნება, ისტორია გვიმოძღვრებს: რეაქციას ყოველთვის რევოლიუცია მოსდევდაო“.

შემდეგ ფლოკემ ბულანჟეობაზე დაიწყო ლაპარაკი.

„ჩვენ გვირჩევენ, თითქო ახალი ამბავიაო, განაგრძო ორატორმა: და მერე ისიც ვინ გვირჩევს, გენერალი, რომელსაც ჯერ არც ერთხელ არავინ დაუმარცხებია ბრძოლაში, რომ მოსპეთ ტრიბუნა, უარ-ჰყავით მოლაქლაქენი, ადვოკატები, დააყენეთ მთავრობის თავში ხელით ძლიერი, თუ თავით ძლიერი არ იქნებაო, და ამ ახალის ღონის-ძიებით შეასწორეთ ნაკლებულება წარმომადგენლობის წეს-წყობილებისა, საპარლამენტო რეჟიმისა, თავისუფლებისა და თავისუფალ რესპუბლიკის რეჟიმისაო. ესეც ხომ ახალი ხილი არ არის. 1798 წელსაც ასე უქადაგებდნენ ბონაპარტეს გენერლებს და თვით ბონაპარტესაც და შედეგი ის იყო, რომ იმპერია-კი იშვა. იმპერიამ ხომ ვატერლოო შვა. ამასვე ლაპარაკობდნენ 1851 წელსაც და სედანის ამბავი-კი მოჰყვა ამ ლაპარაკსაც“. ფლოკემ შემდეგ ანუსხა, რაც გააკეთა რესპუბლიკამ ან მხედრობასა და ჯარის შესახებ, ან სკოლების საქმეში, და ან ერისა და ქვეყნის გამდიდრებისათვის.

„მაგრამ ნუ თუ მართალიაო, სთქვა ორატორმა რომ ვითომ მუშა ხალხს პირი ცრუ-წინასწარმეტყველებისაკენ მიუქცევია და ისინიც ჰფიცავენ და ჰპირდებიან, რომ ერთს წუთში შევასრულებთ თითოეულის სურვილსაო, თუმცა ერთის სურვილი წინააღმდეგი იყოს მეორესი? მე არა მგონია, რომ ასეთი გრძნობა ჰქონდეს ჩვენს დემოკრატიას. დემოკრატიამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, ვინც უფრო ხნიერია მათში, იმათ კარგად იციან, რა არის ერთის განუსაზღვრელი ბატონობა, რა ხილია დიქტატურა. 1851 წლის შემდეგ, 2 დეკემბრის მეორე დღეს, პარიჟსა და საფრანგეთში რამდენიძე ამხანაგობა, ასოციაცია არსებობდა მუშა-კაცებისა. ზოგს მათგანს მშვენიერად მიჰყავდა თავისი საქმეები და მერე რა მოხდა? გამბეტას მოსწრებულის სიტყვისა არ იყოს, დეკემბრის სუსხმა ერთს ღამეს დასძრა

---

დასლდო, შეგვიძლიან ვიფიქროთ, მცირე მამულის პატრონთა სასარგებლოდ წინააღმდეგ დიდთა მებატონეთა. დიდის მამულის მფლობელს შეეძლო გადაყვანილი გლეხი დაემალა შვიდის წლით, როგორც აღბუღა სწერდა [16]), სხვა-და-სხვა მიფარებულს მხარეს თავის უზარმაზარის მამულისა და შემდეგ ამ ვადისა დაესაკუთრებინა გამოპარული გლეხი კანონის ძალით. 30 წლით დამალვა უფრო ძნელი იყო და გამოქცეულის ყმის ძველს პატრონს მეტი დრო ეძლეოდა იმის მოსაძებნად.

გარემოება იცვლება და ვადას მნიშვნელობა აღარ აქვს გამოქცეულის ყმის დაბრუნებისთვის, თუ იგი გამოპარული გლეხი „დავთარში“ ახალს ბატონთან აღწერის დროს ორჯელ მოექცა. ქართლში აღწერა შვიდ წელიწადში ერთხელ ხდება, მაშასადამე საკმარისი იყო ორ აღწერას—14 წელიწადს—გაევლო ყმის გამოპარვიდამ, რომ ბატონს დაჰკარგვოდა ნება იმის მოსაძებნად, მაგრამ ჯერ კიდევ თვით ყმას ეძლევა ნება დაბრუნდეს ძველს პატრონთან. რაკი გაივლის 30 წელი, მაშინ ყმაც ჰკარგავს უფლებას დაბრუნდეს უკან და, თუ დაბრუნდა „სამკვიდროზედ“, იმან (ძველმა ბატონმა) ისევ უნდა მოსცეს [17]). «ხელმწიფის დავთარში ვისაც მოსვლია, იმის სახელზედ ჭირის მქონლად დაიწერონს» [18]). აქედგან ბატონ-ყმობა დაბადებული ეკონომიურს ნიადაგზედ იქმნა მიღებული კანონით და განმტკიცებულ სიაში, „დავთარში“ ჩაწერით. რუსეთში პირველის რევიზიის შემდეგ (1718 წ.) ყმანი ჩაიწერნენ რევიზიის სიაში („ревизскія сказки“). ჩვენში მოექცნენ „დავთარში“. ვინც ორჯელ აღწერის დროს ერთისა და იმავე ბატონის დავთარში მოექცა და დაჰყო იმასთან 30 წელი, იგი რჩება იმის სამკვიდრო ყმად, წინანდელს „სამკვიდროზე“ ვეღარ წავა, თუ წავა, ისევ უნდა მოსცეს“ [19]). თვით ელი, „მწყემსი ხალხი, რომელიც ხვნა თესვას არ მისდევს და ბინას იცვლის“ [20]) („гулящіе люди“ რუსეთში), რაკი მოექცა დავთარში, ხდება ბატონის სამუდამო ყმად, ჰკარგავს უფლებას თავისუფლად გადასვლისას [21]).

მაშასადამე, კერძო დამოკიდებულება, რომელიც სუფევდა ბატონსა და ყმას შორის, მთავრობამ სახელმწიფო აქტებით, «დავთარში» ჩაწერით აღწერის დროს განამტკიცა, მისცა იურიდიული სანქცია ცხოვრებისაგან დაწნულ გარემოებასა და მიზეზებს და აღიარა მტკიცე კანონად გაძლიერებული და გახშირებული ჩვეულება ბატონთან ხელწერილის, „წიგნის“ დადების მჟიერ, სახელმწიფო სიით დაკავშირებ ყმისა ბატონთან.

ბატონ-ყმობაში ამ გვარად უნდა აღინიშნოს როგორც სუყველგან მოხდა, ორი ფაზისი განვითარებისა: მომზადება ბატონ-ყმობისა ეკონომიურის მიზეზებით და იმის განმტკიცება კანონ-მდებლობით, მთავრობის აქტებით.

## VIII

ყმები ჰყვდათ როგორც კერძო ბატონებს, აგრეთვე თვით მეფეს (სახასო ყმანი) და ეკკლესია-მონასტრებს. ხშირად ყმები ბატონისა და მეფის განურჩევლად იხმარებიან, რადგან მეფეც თავისთავს ყმის შესახებ „ბატონს“ უწოდებს. აქედამ წარმოსდგა გამოურკვევლობა, როდის არის ლაპარაკი მეფეზედ და როდის კერძო ბატონზედ. იქნება ეს ასე მოხდა იმიტომ, რომ წინანდელი ბატონი და შემდეგი მეფე ერთ-ნაირად ექცეოდნენ ყმებს, ჰქონდათ თანასწორი იურისდიქცია ყმებზედ [22].) სახასო და საეკკლესიო ყმათა შორის, როგორც საერთოდ საბატონო ყმებში, მოჰყვნენ ტყვე და სასყიდი, ნაბოძები და შეწირულნი, თავის ნებით ყმად შესულნი და თავ-შეფარებულნი. საეკკლესიო ყმათა რიცხვი მუდამ ჰმატულობდა, რადგან ცოდვილნი მებატონენი სულის საცხონებლად არ იშურებდნენ ეკკლესიებისთვის ყმებისა და მამულის შეწირვას. დასავლეთ ევროპის ისტორიკოსის გრიგოლ ტურსკის ნაწერებიდგან აშკარად სჩანს ის შეუთანასწორობა, რომელიც მეფობდა კერძო უწმინდურის ცხოვრებისა და ეკკლესიათა უხვის შეწირულების შორის (VI საუკ.)—ჩვენშიც გადაშალეთ გუჯრები და ყოველს გვერდზედ შეხვდებით, რომ სულის მოსახსენებლად, ცოდვათა მისატევებლად, შვილების სადღეგრძელოდ, წირვითა და ლოცვით მოსახსენებლად [23]) ჩვენი მებატონენი ხელ-გაშლით სწირავდნენ ეკკლესია-მონასტრებს მამულსა და ყმებს. აქ, საეკკლესიო ყმათა შორის, როგორც ევროპაში, ნახავთ თავის თავის შემწირველთ: სულაძემ შესწირა თავი ეკკლესიას და, მიეცა ნება საეკკლესიო მამულზედ დასახლებისა [24]). უპატრონონი და უბატონონი ეძებდნენ მფარველობას და ყმობას ეკკლესიისას: აქტით 1740 წ. გლეხი არაგვის ერისთავისა, ლეკების ტყვეობიდან განთავისუფლებული, დარჩენილი უპატრონოდ, შეეფარა ურბნისის მონასტერს [25]). ეკკლესია თვით უფლობს ყმებს და ასახლებს თავის მიწა-წყალზე [26]). ერთის შეხედვით თითქოს ეკკლესიის მონაწილეობის მიღება გლეხთა სყიდვაში არღვევს კათოლიკოზთა კანონებს, რომელთა თანახმად ეკკლესია უკრძალავდა ყმის სყიდვა-გასყიდვას [27]). ეკკლესია გასაკიცხი არ არის, თუ იგი სყიდულობდა ყმებს მხოლოდ იმიტომ, რომ შევიწროებული მათი გარემოებანი შეემსუბუქებინა: საეკკლესიო ყმებს ბევრი შეღავათი ჰქონდათ შედარებით საბატონო ყმასთან და ამიტომაც ხდებოდა, რომ საბატონო ყმები იპარებოდნენ და ვადადიოდნენ საეკკლესიო მამულზედ: ციციშვილის გლეხი ზაქარია გასიტაშვილი, შევიწროებული თავის ბატონისაგან, შეეფარა რუისის სობოროს; მეფემ იცნო გლეხის საჩივარი სამართლიანად და თავის ქონებით გადასცა იგი რუისის კათედრას [28]). ერთხელ შეწირული მამული და ყმანი ეკკლესიისაგან აღარ გამოიწირებოდა [29]).

16) აღბუღას კან., § 78.

17) ვახტ. კან., § 199.

18) ევროპაში საკმარისი იყო ერთი წელიწადი ყმას გაეტარებინა სხვა ბატონთან, რომ იმის ყმად გამხდარიყო (droit d'eubainage). Карѣевъ. Франц. Крестьяне, 42.

19) Кр., гр., 25 „დავთრის“ მნიშვნელობაზედ ნახე Бакрадзе, Археол. Путешествіе по Гуріи и Адчарѣ, გვ. 320, 327.

20) ვ. უმიკაშვილის ახსნა „ელისა“. იხ. „დასტურლამალი“, გვ. 169.

21) Кр. гр., 27. შესანიშნავია, ბატონს რომ სხვის ყმამ „წიგნი“ მისცეს მოტყუებით, „მომდევარი“ არა მყავსო და ახალის ბატონის სიაში ჩაეწეროს, ძველი ბატონი ჰკარგავს იმაზედ უფლებას. ვახტ. კან., § 262.

22) ასეთ ურჩევლობას ბატონისა და მეფის ხმარებაში ვხედავთ სხვის კანონებშიაც. ფრანგების მართალში dominus და rex ირევა. სხვა-სხვა ხელთ-ნაწერები სხვა-და-სხვა დროსა ხმარობენ ძველად dominus და შემდეგ rex. ნახე Lex Salica, §§ 13, 44, 46 in truste *dominica* და in trusre *reguli*. Срав. Deloche. L'Antrustion, page, 6.

23) Церк. гуд. 7, 19, 59, 62, 26, 28. Археол. путеш. по Гуріи, 303, 318.

24) Церк. гудж., 19; ნახე კიდევ Церк. гудж., 55.

25) Церк. гудж., 27, 57.

26) Церк. гудж., 58, 59, 61. Brosset. Introduction, 127.

27) კანონები კათოლ., § 2; Церк. гудж. 148, 149.

28) Церк. гудж., 45; ნახე კიდევ Brosset. Introduction, 151, 152—3. Кр. гр., 8, 149.

29) Церк. гудж., 35.

და გაახმო ყველა ეს ნერგი კეთილის დაწყობილებისა. არამც თუ გააუქმეს ეს ამხანაგობანი, მათი დახლიც წარიტაცეს და იმათი კასები თითონ მიითვისეს. ნუ თუ მუშები დაივიწყებენ, რომ 1869 წელს სამართალში აძლევდნენ ყოველ მუშას, რომელიც მუშების კრებაზე გამოცხადდებოდა, რადგან ნაპოლეონის დროს დამტკიცდა კანონი, რომელიც ბრძანებდა: მუშებს ნება აქვთ პირი შეჰკრან და ხელი აილონ მუშაობაზე, მაგრამ ერთად შეკრების ნება-კი არა აქვთო". დასასრულ ფლოკემ სთხოვა მუშებს, ნუ დაივიწყებთ, რომ რესპუბლიკამ პირველმა მოგცათ ნება თავისუფლად დაიცვათ თქვენი ინტერესებიო.

„ნუ უარ-ჰყოფთ რესპუბლიკასა, სთქვა ორატორმა გრძნობითა: ნუ გაუდგებით განზე ამ დაწესებულებას და ხელი მაგრად ჩასჭიდეთ, იმიტომ-რომ ეგ არის ერთად-ერთი ღვთიური გზა წინს-ვლისა და წარმატებისათვის. რეაქცია კვლავ დაგვიბრუნებს იმ დროს, როცა გამუდმებული რევოლიუცია და უწესოება იყო, მავნებელი და საზარალო ყოველთა და ყოვლისათვის. იცოდეთ, რომ ადრე თუ გვიან დიქტატორი ომს დაიწყებს და იმ ომით დაჰღუპავს ჩვენს სამშობლოს".

## მოლაპარაკე ყრუ-მუნჯნი.

ამ ორმოცის წლის წინად ერთი ყმაწვილი კაცი იყო, ბუნებით ყრუ-მუნჯი. თუმცა ამ ყმაწვილს გონიერება ეტყობოდა, მაინც ოჯახში უბედურს ეძახდნენ, ღვთისგან დასჯილს და სხვას, ვიდრე ერთმა გარემოებამ სულ სხვა არ ათქმევინა ამის მთქმელებს. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში საიდუმლო განყოფილება იყო, რომელშიაც მხოლოდ ყრუ-მუნჯნი მსახურობდნენ, ისეთნი-კი, რასაკვირველია, რომელთაც ქაღალდების ლამაზად და გარკვევით წერა შეეძლოთ. ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ „მთავრობის ხვაშიადს გარეთ არ გაიტანენო", და კარგს ჯილდოსაც აძლევდნენ. ეს ყმაწვილი კაციც ამ სამსახურში შევიდა და ისეთი კარგი მოხელეც გამოდგა, რომ სადღესასწაულოდ სხვებზედ მეტი ჯილდო მიიღო. არ ვიცი შემდეგ რა დაემართა ამ კაცს, ის-კი მახსოვს, რომ ეს ყრუ-მუნჯი სასაცილო ამბებს დამიწერდა ხოლმე ქაღალდზედ კანცელარიის საიდუმლოთაგან. ბევრი იცოდა სიყვარულის ამბავი, რომელსაც შემდეგში ოჯახის პირ-ქვე დამხობა უწოდეს და მაშინ-კი მხოლოდ ოჯახის საიდუმლო იყო და სხვა არაფერი.

არც ის ვიცი, ეს ყრუ-მუნჯთა განყოფილება რეფორმის შემდეგაც არსებობდა თუ არა, ხოლო ჩემი ნაცნობი-კი ვგონებ ამ დროს უკვე გამოეთხოვა სამსახურს. ხმა გავარდა, რომ ყრუ-მუნჯებმა ლაპარაკი ისწავლეს, სხვას გადასცემენ სახელმწიფო საიდუმლოსაო, და ამიტომაც აღარ ინდომეს მოხელედ. მაშინდელი პედაგოგები იმ აზრს დაადგნენ, რომ ჩვენი მოწაფენი მუნჯნი-კი არ არიან, მხოლოდ მოიყრუებენ და ამიტომ, მარტო ბლავილი-კი არა, ლაპარაკიც უნდა შეეძლოთო. მთავრობა ჭეშმარიტად საიდუმლო მდივნების საშოვნელად ისეთს ყრუ-მუნჯს იყვანდა, რომელსაც სწავლა არა ჰქონდა მიღებული, განუვითარებელი იყო და წერის მეტი აღარა იცოდა-რა. კალიგრაფიის გარდა ამ ყრუ-მუნჯთ ასწავლიდნენ ხელებით ლაპარაკს, ნიშნებით, აბატის დ'ეპეს სისტემისამებრ. ჩემმა ნაცნობმა ყრუ-მუნჯმა რომ შეიტყო, ლაპარაკის სწავლა შეიძლებაო, სამსახურში აღარ დადგა.

რაღა თქმა უნდა უკანასკნელს ორმოც და ორმოც-და-ათ წელიწადში ყრუ-მუნჯთა სწავლის საქმე საგრძნობლად წინ წაიწია და ეხლა ყველა საუკეთესო სასწავლებლებში ამ უბედურებს ლაპარაკსაც ასწავლიან, ესე იგი ათქმევინებენ იმ სიტყვებს, რომლისაც აქამდე მხოლოდ წაკითხვა შეეძლოთ. იმათთან მოლაპარაკისა არ ესურებათ, მაგრამ იმის ნათქვამს-კი იტყობენ და პასუხსაც სიტყვებით აძლევენ და არა წერით, როგორც ძველად იყო. ეხლა ყრუ-მუნჯნი ისევე ჰლაპარაკობენ, როგორც სრულიად ჯანსაღი ადამიანი ჰლაპარაკობს დღე ყოველ.

მერე როგორ მოასწრეს ეს საქმე?

ამ საკითხზე პასუხს ადვილად მოგვცემს ფრიად საყურადღებო წიგნი დოქტორ გოგილიოსი, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „როგორ უნდა ასწავლოს კაცმა ყრუ-მუნჯთ ლაპარაკი?" და რომელშიაც, ტექსტის განსამარტებლად, 76 საფოტოგრაფიო სურათია ჩართული. რასაკვირველია, ამ წიგნში ის დედა-აზრია ჭეშმარიტებად აღიარებული, რომ ბუნებით ყრუთ და ამიტომ ლაპარაკის ვერ შემსწავლელთ, ლაპარაკის ორგანოები, ფილტვები, სასა, პირი, ენა, კბილები და ტუჩები, სრულიად საღი აქვთ და შეუძლიანთ კიდეც ლაპარაკის სწავლა, თუ ეცდებითო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლაპარაკის დროს ორ გვარი მოვლენა სწარმოებს: ჰაერი მოძრაობაში მოჰყავს ბგერას ხმისას და იძვრიან აგრეთვე ჩვენის სხეულის ზოგიერთი ორგანოები. თუ ბგერას ვერ გაიგონებს ყრუ, სხეულის ორგანოების მოძრაობის შემჩნევას ხომ, რასაკვირველია, ვერა დაუშლის-რა. თვალი ამ შემთხვევაში ყურის მაგიერობას კარგად გაუწევს. მკითხველი თითონაც ჩქარა მიხვდება ამ შენიშვნის სიმართლეს, თუ სარკის წინ დაჯდება და ერთი მეორეზედ წარმოსთქვამს უბრალო ბგერათ, მაგალითებრ ა, ე, ი. მაშინვე დაინახავს, რომ ყოველ სიტყვის წარმოთქმაზედ ტუჩები და საზოგადოდ პირი სხვა-და-სხვა გვარად იძვრის. ა-ს წარმოთქმის დროს პირი უფრო განიერად იღება, ვიდრე ი-ს წარმოთქმაზედ, ე-ს დროს პირის ნაპობი უფრო მცირეა, ვიდრე ა-ს დროს, ხოლო უფრო დიდი, ვიდრე ი-ს დროს, და სხვანი. პირის ნაპობის სიდიდე ყოველთვის ერთ გვარი არ არის ხოლმე, მაგალითებრ: ო-ს სათქმელად ტუჩებს რგოლის სახე უნდა მივცეთ, უ-ს თქმის დროს-კი ეს რგოლი ცოტა უნდა დავაპატარაოთ. შორიდამ მეთვალყურე ამ განსხვავებას ადვილად შენიშნავს, თუნდა ყრუც იყოს, ოღონდ ანბანი-კი იცოდეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოსწავლემ ფილტვებსა და ყანყრატოს დიდი ძალა უნდა დაატანოს, რომ გამოსთქვას ა, ან ო და ან უ. ძნელია ეს საქმე, ხოლო აუსრულებელი-კი არა, მით უმეტეს, რომ თვით ყრუც ძალიანა სცდილობს, მთელს დღეს სარკის წინა ზის ხოლმე და ამ ლაპარაკის შესწავლის საქმეს ანდომებს დროს, იმასაც უნდა ქვეყანაში გაერიოს, სხვისი ნალაპარაკევი გაიგონოს და თავისი სხვას გააგონოს.

მოწაფეს უნდა ასწავლოს მასწავლებელმა აგრეთვე ისიც, რომ სიტყვის სხვა-და-სხვა კილოთი გამოთქმა შეიძლება, შესაძლებელია სიტყვა ძლიერად ითქვას, დუნედ, მოკლედ და გაჭიანურებით. ამ მხრივ დიდს შემწეობას აძლევს მოსწავლეს სარკე, რომლის წინ მოსწავლე და მასწავლებელი უნდა დადგნენ. მასწავლებელი ლაპარაკობს და მოსწავლე სარკეში თვალ-ყურს ადევნებს და სცდილობს ტუჩების ცმაცუნი დაიხსომოს და თითონაც ისე აცმაცუნოს, თითონაც იმისთანავე სიტყვები წარმოსთქვას.

სწავლას ჩვეულებრივ ა-დგან იწყებენ და შემდეგ ასწავლიან ო, უ, ე, ი-ს გამოთქმას. ამასთან მოსწავლეს ამჩნევინებენ, რომ ანთებულს სანთელსაც ვერ არხევს ა, ო, ე, ი-ს გამოთქმა და უ-ის გამოთქმის დროს-კი ლამის სანთელი ჩაქრეს. ყველა ასოს გამოთქმას თავისი გარეგანი ნიშანი აქვს, რომელიც კარგად უნდა ჰქონდეს დასწავლული მოწაფეს. ეს დასწავლა ფრიად ძნელია და ამიტომაც არის, რომ ყმაწვილი მხოლოდ 4—5 წლის შემდეგ შეიძლებს ხოლმე ლაპარაკს. ზოგიერთის ასოს გამოთქმას, მაგალითებრ რ-სას, ძალიან ძნელად შეიძლებენ და რ-ს ლ-ად გარდაქცევენ ხოლმე. პირიქით, სიტყვები: მამა და დედას გამოთქმას-კი ადვილად სწავლობენ. მთელი ხალხიც-კი იპოვება დედამიწის ზურგზედ ისეთი, რომ ასო რ-ს ვერ ამბობს. არიან ისეთნიც, რომელნიც ისეთს ძნელს ბგერას გამოსთქვამენ ხოლმე ადვილად, როგორიც რუსული щ, ან ы და ან ჩერქეზული კჩრრ არის. რაღა თქმა უნდა, ამ ასოების გამოთქმას ყრუ-მუნჯს ვერ შეასწავლის ადამიანი, მაგრამ არც მაინცა და მაინც იმდენად საჭიროა. ისიც საკმარისია, თუ იმის თქმა შეიძლოს, რაც უბრალო ლაპარაკისათვის არის საჭირო.

მერე რამდენი დრო უნდება ამ შესწავლას? შეწუხებადა ჰღირს, თუნდა ისწავლოს კიდეც როდისმე მოსწავლემ ზერელედ ლაპარაკი? რასაკვირველია, ჰღირს, მეტადრე მაშინ, თუ მოსწავლე ნიჭიერი აღმოჩნდა. გოგილიო აი ერთს რა ამბავს მოგვითხრობს თავისს წიგნში იმის გამოსარკვევად, თუ რამდენს ხანს უნდა შეისწავლოს ბავშმა ლაპარაკის ხელოვნებაო: ერთს მწერალს ვაჟიშვილი მიეცა და ერთის წლის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ყმაწვილი სულ ერთიანად ყრუ იყო. ბევრი უწამლეს, მაგრამ ვერა უშველეს-რა. რა უნდა ექნათ? ნიშნებითა და თითებით ლაპარაკი განა ლაპარაკია? წიგნებიდგან ამოეკითხათ, რომ გერმანიასა და შვეიცარიაში ყრუ-მუნჯებს ლაპარაკს ასწავლიანო. ციურიხში ასეთი სასწავლებელი უკვე ამ 40 წლის წინად არსებობდა. საბრალო ბავშის ბებიამ, ყმაწვილის დიდად მოსიყვარულემ, გადასწყვიტა ყრუ-მუნჯის ციურიხში წაყვანა, რომ იქ სასწავლებელში ეტარებინა. ყმაწვილი დიდად ნიჭიერი აღმოჩნდა, ასე რომ ნახევარს წელიწადს კარგად წინ წადგა სწავლის საქმეში ფეხი. ხმა, მართალია, ჯერ კიდევ ყრუ ჰქონდა, გარკვევით სიტყვას ვერ ამბობდა, მაგრამ გერმანულად ლაპარაკი-

---

ეკლესიის მფარველობის ქვეშ შესულთ მიეტევებოდათ დანაშაულნი: მოჯამაგირემ თულაშვილთა დააპატიურა ქალბატონი, ბატონებს იმის მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ეკლესიას რაკი შეეფარა, მიუტევეს მას შეცოდება ხორციელი [30].

საეკლესიო მამულის გამნაწილებელი ყმათა შორის არის კათოლიკოზი, ეპისკოპოზი, წინამძღვარი მონასტრისა, თუ სამონასტრო მამულს განმეორებით დამტკიცება სჭირდება ახალის მეფისაგან [31]. აგრეთვე თვით ეკლესია ურიგებს და ამტკიცებს საეკლესიო მამულს სასარგებლოდ იმათ, რომელთაც წინადვე მიიღეს იგი მოსახმარად. ამიტომ როგორც ამოწყვეტილი საბატონო მამული უბრუნდება ბატონს, აგრეთვე საეკლესიო მამული უბრუნდება კათოლიკოზს, წინამძღვარს, რომელიც უმაღლეს პატრონის უფლებით აძლევს თავის ყმებს [32]. ერთის სიტყვით, საეკლესიო და სამონასტრო ბატონები არაფრით არ ირჩევიან ჩვეულებრივ მამულის ბატონებისაგან. ეს თანასწორობა იქამდის მიდის, რომ სამღვთო პირზედ გადადის წინამძღოლობაც ჯარისა, იმ ყმათაგან შემდგარისა, რომელნიც დასახლებულნი იყვნენ საეკლესიო მამულზედ [33]. რადგან მიღებული იყო, რომ ბატონი თავის ყმებით მიდიოდა ჯარში, ამიტომ კათოლიკოზიც თავის გლეხებით, როგორც სამხედრო კაცი, ასრულებდა ლაშქრობის მოვალეობას. დასავლეთ ევროპაშიაც მოხდა ასეთი მატერიალიზაცია ეკლესიისა: ეპისკოპოზები, ამბობს ისტორიკოსი გრიგოლ ტურსკი, დადიოდნენ ჯარში, შეჭურვილნი იარაღით.

გლეხს ერჩივნა ეკლესიის ყმობა: სასულიერო წოდებას უფრო ნაკლები მოთხოვნილება ჰქონდა, ვიდრე ჩვენს თავად-აზნაურს. გონებითა და ზნეობით პირველი მაღლა იდგა მეორეზედ და ქონებრივი შეძლება მეტი ჰქონდა. ამიტომ, საფიქრებელია, ეკლესია ნაკლებად აწუხებდა თავის ყმას შედარებით თავად-აზნაურთან. ეკლესია სცდილობდა დაეცვა მშვიდობიანობა და კაცობრიობა ყმათა და ბატონთა შორის; იგი სცდილობდა გავრცელებული ბარბაროსული ჩვეულება—ყმის სყიდვა-გასყიდვა მოესპო და, რასაკვირველია, თვითვე არ იზამდა მას, რის წინააღმდეგაც იბრძოდა. ეკლესიას ამ შემთხვევაში დიდი გავლენა ჰქონდა ბატონ-ყმობის მოსალბობად და მოსატეხად. ბატონები აძლევდნენ პირობას ეკლესიას, რომ ყმებს არ გაჰყიდ-გამოჰყიდდნენ, ტყვეს ურჯულოზედ არ გაჰყიდდნენ. სამეგრელოს მთავარი ბექანი აძლევდა აღთქმას კათოლიკოზს გრიგოლს, რომ მის ბძანებას შესახებ ტყვეების გაყიდვისას შეასრულებ და ვინც დაარღვევს ამ მცნებას, დავსჯი კანონიერადაო [34]. ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიას, მაგალითად, რომის იმპერიაშიაც [35].

საეკლესიო გლეხს შეეძლო კათოლიკოზის თანხმობით გაეყიდნა თავის მამული, სახლი, ვენახი [36], შეეძლო თავისუფლად წასულიყო სავაჭროდ, შეეძინა თავისი საკუთარი მამული [37]. იგი იყო განთავისუფლებული ზოგიერთ ხარჯისაგან, რომელიც უთუოდ უნდა გადაეხადნა საბატონო ყმას. ხშირად იმას ერთმევა მხოლოდ სანთელ-საკმელი, ან მოვალედ ხდება წელიწადში ერთხელ აღაპი გაემართა ბატონის სულისთვის [38]. სახელმწიფოდ მას ერთმევა ლაშქარ-ნადირობის და ხათათრო საურის გადასახადი [39]. ეს ისეთი მოვალეობა იყო ყოველის კაცისა, ვინც საქართველოში სცხოვრობდა, რომ ამ ხარჯისაგან განთავისუფლება მეტად იშვიათი საქმე იყო [40]. როცა ჩამოვთვლით საერთოდ გლეხის გადასახადს, ამ საგანს კიდევ დავუბრუნდებით; ახლა-კი საკმარისია ვსთქვათ, რომ საეკლესიო ყმის სამსახური ხშირად არ იყო მძიმე: ნახევარ გირვანქის სანთლის შეწირვა ბევრს არ გაუჭირდებოდა [41]. რასაკვირველია, იყვნენ ისეთი საეკლესიო ყმანიც, რომელნიც საბატონო გლეხთან თანასწორად შეწუხებულნი იყვნენ. რადგან ადვილი იყო ეკლესიის ყმობა, ამიტომ ვხედავთ დაუღალავ ცდას ყმის მხრივ გადაიღეს საბატონო ყმობიდამ საეკლესიო გლეხად. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საბატონო ყმას საეკლესიო სამსახურიც არ აკლდებოდა, მაშინ საბუთიანად ვიცნობთ ამ მეცადინეობას ყმებისას. თვით განთავისუფლებულნი ყმობისგან შედიან ეკლესიის ყმად (Дв. гр.).

ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ სახასო და საბატონო ყმა ყოველთვის ემსახურებოდა ეკლესიასაც. „Въ Грузіи никто никогда не слыхалъ, чтобы кто-нибудъ уклонился отъ уплаты церковныхъ податей" [42]. ორის სამსახურის გაწევის მაგიერად, ყმას ერჩივნა ერთი საეკლესიო ბატონი ჰყოლოდა და იმისთვისაც ბევრად ნაკლები სამსახური დასჭირდებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ ბატონისთვის. სახასო ყმასთანაც შედარებით საეკლესიო უკეთესს მდგომარეობაში იყო: სახასოს არ ეძლეოდა, როგორც ვნახავთ, იმდენი შეღავათი გადასახადში, რამდენიც საეკლესიოს. ახლაც სახასო გლეხები ბევრით ჩამორჩომილნი არიან, მაგალითად, ქრისტეს საფლავის ყმებთან შედარებით: „მონასტრის გლეხები თითქმის უფრო უკეთესს ყოფა-ცხოვრებაში არიან, ვიდრე სახელმწიფონი, სახელმწიფო გლეხებს არა ჰყოფნით თავისი მამული და ძალა-უნებურად გადადიან საბატონოში და ემსახურებიან ორს ბატონს: სახელმწიფოს და რომელსამე მემამულეს. მონასტრის, ანუ საბერო გლეხს მამული სწორედ თავზედ-საყრელი აქვს. იგი მხოლოდ ერთად-ერთს ბატონს ემსახურება, ერთთან აქვს საქმე, აძლევს მცირედს ხარჯს პურზე, ქერზე, სიმინდზე, ვენახზედა სხვა ყველა მიწის მოსავალი თავისუფალია გადასახადისაგან" [43].

ა. ხახანაშვილი

(შემდეგი იქნება)

30) Церк. гудж., 59. ეკლესიის მფარველობის ქვეშ შესულთ ახლაც მიეტევებათ ხოლმე დანაშაული თუშ-ფშავ-ხევსურეთში. ნახე ჩემი წერილი. „О Мохевцахъ" въ Этнограф. сборникѣ, вып. III.

31) Церк. гудж., 12, 96, 97.

32) Церк. гудж., 150. ქუთაისის მიტროპოლიტმა გადასცა ამოწყვეტილი მამული გლეხის შოშეიძისა გლეხს ჯანჩვაძეს. იხ. კიდევ Церк. гудж., 113, 114, 125, 126.

33) Крес. гр., 21—2.

34) Церк. гудж., 149. Акты Кавказ. Арх. ком. I, 52, 55, 56, 61, 64. Brosset. Introduction, 82.

35) Defeusor civitatis—მფარველი საწყალის ხალხისა იყო ეპისკოპოზი, რომელსაც მიეცა სისხლის იურისდიქცია.

36) Кр. гр., 29, 56.

37) Церк. гудж., 52, 64, 65, 59.

38) Церк. гудж., 27, 89, 109, 132, 144. Brosset. Introd. 115, 129.

39) Церк. гудж., 10, 15, 37, 38, 107, 108. Brosset. Introduct. 124. Акты Кавказ. Археогр. ком., I, 8, 9, 23, 30.

40) Церк. гудж., 56, 105.

41) Церк. гудж., 55, 87, 125, 81.

42) Кр. гр., 27.

43) „ივერია" 1888 წ. № 216. „წერილი ქართლიდამ" ს. გუნცაძისა.

კი შეეძლო ცოტად თუ ბევრად და სხვისი გარკვევით ნათქვამიც ესმოდა.

თუ ხუთის წლის ბავშვმა ასე კარგად შეიგნო სწავლა, რაღა თქმა უნდა, რომ უფრო უფროსნი და უფრო დიდხანს სასწავლებელში ნამყოფნი ლაპარაკს უკეთ შეიძლებენ და ეს საქმე დღედღეზედ სრულიად ფეხზედ დადგება. მართალია, ყრუნი ზარების რეკასა, ზარბაზნის გრიალსა და იტალიურს ენაზედ მომღერლების ხმის გაგონებას ვერ შეიძლებენ, მაგრამ ადამიანის ნათქვამს გაარჩევენ და პასუხის მიცემასაც მოახერხებენ. ერთის სიტყვით, ნამდვილი ადამიანები შეიქმნებიან.

ამიტომ გოგილიოს წიგნი, ფრანგულს ენაზედ გამოცემული, გვონებთ, ფრიად საყურადღებო უნდა იყოს ყველასათვის, არა მარტო სპეციალისტებისათვის, ესე იგი ყრუ-მუნჯთა მასწავლებლებისათვის, არამედ ყველა განათლებულ კაცისათვისაც-კი, მით უმეტეს, რომ ჩვენი საუკუნე სწორედ ნერვით სუსტთა ადამიანთა საუკუნეა და ამიტომ ხშირად იბადებიან ყრუ-მუნჯი უმაწვილები, თუმცა სხვაფრივ-კი მალიან ნიჭიერნი არიან.

# დეპეშა

19 მკათათვე

პეტერბურგი. დიდმა მთავარმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ გუშინდელი დღე კარგად გაატარა. თავს უფრო კარგადა ჰგრძნობს.

„Journal de St.-Pétersbourg“-ი ამბობს, რომ საფრანგეთის არჩევანი მაინც და მაინც სასიკეთო არ იყო ბულანჟეს დასისათვისაო. ამ დასის მანიფესტაციამ ის მოქმედება ვერ იქონია, რომელსაც მისგან მოელოდნენო.

სტამბოლი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა გაგზავნოს კრიტში ახალი კომისია, რომლის თავ-მჯდომარედ დაუნიშნავთ რიზა-ფაშა. აგრეთვე გაჰგზავნიან რვა ბატალიონ ჯარს.

ლონდონი. ლორდთა პალატაში სალისბერიმ სთქვა, რომ აღმოსავლეთის საქმე მით უფრო მალე გადასწყდება მშვიდობიანად, რამდენადაც სახელმწიფონი ხელს არ შეუწყობენ საპოლიტიკო არეულობას. რუსეთმა თავის მოქმედებით დაამტკიცა, რომ მშვიდობიანობა სწადიანო.

ქვედა პალატამ უკენჭოდ შეიწყნარა ბილი იმის შესახებ, რომ პრინცებს ჯამაგირი დაენიშნოს. ლიბერალმა სტორეიმ გამოაცხადა, რომ დღეის იქით ბილის წინაალმდეგი ვიქნებიო.

ყველას, ვისაც-კი რაიმე ინტერესი აქვს კრიტის საქმეში, ინგლისმა გააგებინა, რა დიდი მნიშვნელობა ექნება, ინგლისის მართებლობის აზრით, იმ გარემოებას, თუ კრიტი ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ დარჩა.

სუდის ნავთსადგურში მოვიდა ერთი სამხედრო გემი ინგლისისა და ერთი გემი კიდევ სხვა მოვა. ინგლისის გემებს დავალებული აქვთ იზრუნონ ინგლისის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონებისათვის, თუ ვინიცობაა უწესოება დაიწყო.

პარიჟი. საბერძნეთის მეფე კოპენჰაგენს წავიდა.

აქ ჩამოვიდა შაჰი სპარსეთისა.

რადგანაც კრიტში არეულობაა, საფრანგეთმაც, სხვა სახელმწიფოთა მიხედვით, უბრძანა ორს გემს კრიტში წასვლა ფრანგების ინტერესების დასაცველად.

ვილგელმსგაფენი. დღეს იმპერატორი ვილჰელმი ინგლისს წავიდა ზღვით.

ბელგრადი. მართებლობამ გამოაცხადა, რომ დედოფალ ნატალიას სერბიაში მოსვლა საჭიროა და ამიტომ მილანს სთხოვა დედოფალს დაუთმოს ნიშის სასახლე, სადაც მეფე ალექსანდრეს შეეძლება დედა ინახულოსო. მილანმა უპასუხა, რომ საზოგადოდ უფლება არა მაქვს დედოფლის დაბრუნებას ვეწინაალმდეგო, ხოლო, კონსტიტუციის მე-72 მუხლს გარდა, მე მაქვს დაწერილი პირობა რეგენტებისა, რომლის ძალით დედას შეუძლიან შვილი საზღვარ გარეთ ინახულოს და ისიც ჩემის დაკითხვითაო. მაინც და მაინც თანახმა ვარ დავუთმო დედოფალს სასახლე, ხოლო იმ პირობით-კი, რომ მართებლობამ დაამტკიცოს ჩვენი განქორწინება. მართებლობამ ეს წინადადება არ შეიწყნარა.

დღეს საღამოს მილანი დაბრუნდება ვრანიიდგან.

ლონდონი. გუშინ-წინ და დღეს ინგლისის ბანკში შეიტანეს დიდძალი ოქროს ფული საფრანგეთისა. გუშინ ამავე ბანკიდგან გაიტანეს 259,000 გირვანქა სტერლინგი.

ვენა. დღეს საღამოს მემკვიდრე პრინცესა სტეფანია მიდის ოსტენდეში თთვე-ნახევრის ვადით.

პეტერბურგის ბირჟა, 18 მკათათვე.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 74 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 154½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 264¾ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის ვემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


დაიბეჭდა ახალი წიგნი

პატარა მოთხრობა

თხზულება თ. კ—ძისა, გამოცემული კ. თავართქილაძისაგან.

ფასი სამი შაური

ისყიდება ტფილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და «წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნთ-საწყობში. ოზურგეთში თითონ გამომცემლისას. (3—1)

გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ვაჟა-ფშაველას (ლ. რაზიკაშვილის)

„მოთხრობანი“

ფასი 30 კაპ.

ამავე მაღაზიაში ისყიდება ი. გ. ჭავჭავაძის მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ ფასი 25 კაპ. (10—5)

ისყიდება

„საქართველოს სამოთხე“

ოც-და-ერთი წიგნი არის კიდევ დარჩენილი.

ფასი თითო წიგნისა ერთი თუმანი, გაგზავნით თერთმეტი მანათი.

ადრესი: ტფილისი, ბაგრატიონის ქუჩა, № 16. საბინინის სადგომი. (5—4)

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . . | „ | 40 |

კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 › . . . . . | 5 „ 25„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | 4 › . . . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 › . . . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 › . . . . . | 2 „ 50„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 › . . . . . | 1 „ 75„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Дозв. ценз Тифлисъ 20-го Іюля 1889 года. სტამბა გ. ქ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე